პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 219 (3196)

1966 წ. 12 ნოემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!



სერგიეთელთა სასახელო საქმენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელმა დადგენილებამ „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს რაიონულ ცენტრებში, სოფლებსა თუ ქალაქებში. რესპუბლიკის სამრეწველო, სასოფლო თუ სასკოლო ორგანიზაციებში გაჩაღებულია მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებისთვის.

დღეს მხოლოდ გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. სიგუა) საქმიანობაზე გიამბობთ. ამ ბოლო წლებში სკოლის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, კლასგარეშე ფიზკულტურულ მუშაობას. ახალმა დადგენილებამ სკოლის მესვეურთა საქმიანობას კიდევ მეტი მონდომება შემატა.

და აი, სულ მოკლე ხანში სკოლამ შეიძინა სპორტული ინვენტარი: ორძელი, ღერძი, ხარიხა, ტიპიური რკინის დანადგარი კალათბურთისთვის და სხვ. მაგრამ მთავარი მაინც სპორტული მოედნის კეთილმოწყობა იყო. სკოლის ხელმძღვანელებმა, პედაგოგიურმა კოლექტივმა, მოსწავლეთა მშობლებმა, ადგილობრივმა საზოგადოებრიობამ თავი

მოიყარეს და ერთად განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. შემდგომ კი კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს ასევე ერთად ეზრუნათ სასკოლო სპორტული ბაზის შექმნისთვის. მონდომებამ თავისი გაიტანა და მალე სიტყვა საქმედ იქცა: მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთისა და საჭიდაო მოედნები, ფეხბურთის მინდორი, დაიდგა საცოცი ბაგირი, ღერძი, ორძელი, გაკეთდა სახტომი სექტორები და სარბენი ბილიკი. ყოველივე ამას, ცხადია, დიდი შრომა დასჭირდა.

ცოტაც და... სასკოლო სპორტული ბაზა მწყობრში ჩადგა, მოეწყო მისი საზეიმო გახსნაც... ახლა დღე არ გავა, რომ მოედნებზე სავარჯიშოდ გამოსული ნორჩი სპორტსმენები არ ნახოთ. აქ ხშირად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები, ეასპარეზებიან სხვა სკოლების მოსწავლეებსაც...

ერთი სიტყვით, სერგიეთის სკოლაში სპორტული ცხოვრება ჩქეფს.

ჯ. ბზიკაძე.
(ჩვენი კორ.).

გეგეჭკორის რაიონი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — სერგიეთის სასკოლო სპორტული ბაზის საერთო ხედი; მარცხნივ — ნორჩი კალათბურთელები და მძლეოსნები ვარჯიშის დროს; მარჯვნივ — ნორჩი მოჭიდავენი და ფეხბურთელები ასპარეზობისას.

ფოტო გ. ჭაყელისა.

ალმაცლობის გზით

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელ კოხნარის სკოლა-ინტერნატს არც სპორტული მოედნები გააჩნდა და არც ინვენტარი. ამიტომ, ცხადია, არც ფიზკულტურული საქმიანობა იდგა სათანადო დონეზე. ფიზაღზრდის გაკვეთილები კეთილმოუწყობელ დარბაზში ან საკლასო ოთახებში ტარდებოდა, შეჯიბრებებს კი კარგა შორს, ერთ ტრიალ მინდორზე მართავდნენ.

ხანი გავიდა. სკოლა-ინტერნატის დირექციის (დირექტორი ი. ცხოიძე), პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობითა და ფიზაღზრდის მასწავლებელ გ. მეფარიშვილის მონდომებით ბევრი რამ გაკეთდა. პირველ ყოვლისა, ინვენტარი და სპორტული ფორმები შეიძინეს, სპორტდარბაზს მიხედეს. გამოინახა ადგილი ფიზკულტურული მოედნებისთვის, გააკეთეს სახტომი ორმო, სარბენი ბილიკი... ახლა სისტემატურად ტარდება ნორჩ ფრენბურთელთა, ფეხბურთელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა, კალათბურთელთა, მძლეოსანთა შეჯიბრებები. ნაყოფიერად მუშაობენ ჭადრაკისა და შაშის სექციებიც.

დ. გურგენიძე.

ჩოხატაურის რაიონი.

გაიმარჯვეს უნგრელებმა

საბჭოთა გულშემატკივრების იმედი, რომ მელბურნში, თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში, ჩვენი სპორტსმენები დაიბრუნებდნენ დაკარგულ დიდებას, არ გამართლდა. თუმცა ხუთჭიდელთა ასპარეზობის მეოთხე დღემ მათ იმედის სხივი ჩაუსახა: გუნდურ ჩათვლაში ტოლი არ ჰყავდათ საბჭოთა მოცურავეებს, რომლებმაც 3111 ქულა დააგროვეს. პირად ჩათვლაში 300-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაცურა ამერიკელმა პოტსმა, რომელმაც თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა — 3.39,5. წინანდელი მსოფლიო მიღწევა (1960 წელი, უნგრელი ა ბალცო) გაუმჯობესებულია 5,5 წამით.

ოთხ სახეობაში შეჯიბრების შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა ბალცო — 4133 ქულა. II ადგილზე 4029 ქულით იყო საბჭოთა ხუთჭიდელი ვ. მინეევი, III — ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი ფ. ტოროკი (3992 ქულა). გუნდურ ჩათვლაშიც უნგრელი ხუთჭიდელები ლიდერობდნენ — 12148 ქულა. II ადგილზე იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები (11411), ხოლო III — გდრ-ის წარმომადგენლები — 10296.

ასპარეზობის ბოლო სახეობას — მძლეოსნურ კროსს ძალთა განაწილებაში ცვლილებები არ შეუტანია: პირად ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა ბალცომ, რომელმაც 5217 ქულა მოაგროვა. გუნდურ ჩათვლაშიც ყველას უნგრელებმა აჯობეს — 15052 ქულა.

საბჭოთა ხუთჭიდელი მინეევი II ადგილზეა (4936). 14255 ქულით II ადგილზეა საბჭოთა გუნდიც. ს. შაპარნისი VIII ადგილზე გავიდა, პ. ლედნევი — XI.

უნდა აღინიშნოს გდრ-ის სპორტსმენთა დიდი წარმატება. მათ გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს (13715 ქულა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდებიან ამერიკელებს

„...კეთილშობილური ნაბიჯი“

◆ **ჰავანა,** 11 ნოემბერი. მსოფლიოს XVII საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის VI ტურში დაძაბული ბრძოლა გაიშალა სსრ კავშირ-ესპანეთის მატჩის ყველა დაფაზე. საკმარისია ითქვას, რომ შესვენებამდე მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა: ტალმა მოუგო კალვოს. პეტროსიან—პომარისა და კორჩნოი—ფრანკოს პარტიები გადაიდო. საბჭოთა დიდოსტატებს თითო ზედმეტი პაიკი აქვთ, მაგრამ საბრძოლო რესურსების სიმცირე მეტოქეებს ყაიმის შანსებს აძლევს. სპასკი—მედინას პარტია შეწყვეტილია ეტლების თანაბარ დაბოლოებაში. ამ ტურის დანარჩენი მატჩები შეწყვეტილია ასეთი ანგარიშით: აშშ — უნგრეთი 1,5:1,5 (I პარტია გადადებულია), რუმინეთი — არგენტინა 1,5:1,5 (1), იუგოსლავია — ბულგარეთი 2:1 (1), დანია — ისლანდია 1:1 (2), კუბა — გდრ 0,5:1,5 (2), ჩეხოსლოვაკია — ნორვეგია 1,5:0,5 (2). გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ V ტურის საბოლოო შედეგები ასეთია: ესპანეთი — დანია 1,5:2,5, არგენტინა — იუგოსლავია 2:2, ისლანდია — კუბა 2,5:1,5, გდრ — აშშ 1:3. როგორც ცნობილია, II ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებს მოგება ჩაეთვალათ ამერიკელთა გამოუცხადებლობის გამო. საბჭოთა გუნდი დათანხმდა მოეწყოს ეს მატჩი უახლოეს თავისუფალ დღეს. ეს გადაწყვეტილება პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომელსაც 52-ივე გუნდის კაპიტნები ესწრებოდნენ. მათ ეს საქციელი ერთხმად აღიარეს საბჭოთა მოჭადრაკეების კეთილშობილურ ნაბიჯად.

უმრავლეს სახეობაში

დონის როსტოვი (ჩვენი კორ.). აქ საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი და თბილისის ველოსიპედისტთა საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩი საგზატკეცილო რბოლაში. სტუმრებმა პროგრამის უმრავლეს სახეობაში გაიმარჯვეს და შეხვედრაც წარმატებით დაამთავრეს.

თბილისელთაგან I ადგილზე გავიდნენ: მ. ბულბულოვი (ჭაბუკთა დაყოფილი სტარტი 20 კმ), ი. დოლგოპოლოვა (ქალთა დაყოფილი სტარტი 15 კმ), ი. კრასავცევი (ვაჟთა დაყოფილი სტარტი 25 კმ) და ა. ჩერნოუსოვი (ვაჟთა საერთო სტარტი 50 კმ). აღსანიშნავია, რომ თბილისელმა ვაჟებმა დაყოფილი და საერთო სტარტით შეჯიბრებაში პირველი 5 ადგილი დაისაკუთრეს.

მასპინძლების გამარჯვებით აღინიშნა შეჯიბრება საერთო სტარტით ჭაბუკთა (გ. პოლუიანი) და ქალთა (ე. შკურო) შორის.

მორიგი მატჩი — ჩემპიონთან

ტუნისი, 10 ნოემბერი. აქ სტუმრად მყოფმა თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ტუნისის დედაქალაქის ნაკრები — 98:44 (40:21). საბჭოთა კალათბურთელები მორიგ მატჩს ჩაატარებენ ქვეყნის ჩემპიონთან — ქალაქ რადესის გუნდთან

მიეძღვნება 50 საიუბილეო სპარტაკიადა

ზონებში...

დამთავრდა საქართველოს სპარტაკიადის ზონალური ტურნირები. ფინალში, რომელიც 1967 წელს გაიმართება, მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ზონებში I ადგილებზე გასულმა გუნდებმა.

მოგვყავს ზონალურ სპარტაკიადებში პირველ სამ ადგილზე გასული რაიონების სია.

აღმოსავლეთის ზონა

კალათბურთი: ვაჟები. 1. გორი, 2. კასპი, 3. თელავი; ქალები. 1. ხაშური, 2. გორი, 3. მცხეთა.

თავისუფალი ჭიდაობა: 1. გორი, 2. ლაგოდეხი, 3. თელავი.

კლასიკური ჭიდაობა: 1. ხაშური, 2. საგარეჯო, 3. წითელწყარო.

ქართული ჭიდაობა: 1. გარდაბანი, 2. ახმეტა, 3. დუშეთი.

საგზატკეცილო ველორბოლა: 1. მცხეთა, 2. თელავი, 3. ხაშური.

ფრენბურთი: ვაჟები. 1. ბორჯომი, 2. ლაგოდეხი, 3. თელავი; ქალები. 1. ხაშური, 2. გარდაბანი, 3. ახალციხე.

ტანვარჯიში: 1. ხაშური, 2. თელავი, 3. ახალციხე.

მძლეოსნობა: 1. გურჯაანი, 2. გარდაბანი, 3. მცხეთა.

ძალოსნობა: 1. თელავი, 2. ხაშური, 3. წითელწყარო.

დასავლეთის ზონა

კალათბურთი: ვაჟები. 1. სამტრედია, 2. წულუკიძე, 3. წყალტუბო; ქალები. 1. სამტრედია, 2. ორჯონიკიძე, 3. წყალტუბო.

თავისუფალი ჭიდაობა: 1. ონი, 2. ზესტაფონი, 3. სამტრედია.

კლასიკური ჭიდაობა: 1. მახარაძე, 2. ცხაკაია, 3. ზესტაფონი.

ქართული ჭიდაობა: 1. ონი, 2. ამბროლაური, 3. წულუკიძე.

საგზატკეცილო ველორბოლა: 1. ზუგდიდი, 2. ზესტაფონი, 3. წულუკიძე

ფრენბურთი: ვაჟები. 1. წყალტუბო, 2. მახარაძე, 3. სამტრედია; ქალები. 1. წყალტუბო, 2. ზუგდიდი, 3. გეგეჭკორი.

ტანვარჯიში: 1. ზუგდიდი, 2. სამტრედია, 3. ლანჩხუთი.

მძლეოსნობა: 1. ზუგდიდი, 2. სამტრედია, 3. მახარაძე.

ძალოსნობა: 1. ზუგდიდი, 2. მახარაძე, 3. წყალტუბო.

გუნდური შედეგები

(9 სახეობის კომპლექსურ ჩათვლაში)

აღმოსავლეთის ზონა

1. ხაშური — 231 ქულა, 2. თელავი — 219, 3. დუშეთი — 155, 4. მცხეთა—149, 5. ლაგოდეხი—143, 6. გორი — 138, 7. გარდაბანი — 133, 8. კასპი — 103, 9. წითელწყარო — 99, 10. საგარეჯო, 11. გურჯაანი—95, 12. ახალციხე — 93, 13. ბორჯომი — 90, 14. მარნეული — 67, 15. ბოლნისი — 66, 16-17. თეთრი წყარო, წალკა — 62 (თვითეულს), 18. ქარელი — 49, 19. ადიგენი —47, 20. ახმეტა — 44, 21. ყვარელი — 36, 22. სიღნაღი — 32, 23. ახალქალაქი — 29.

დასავლეთის ზონა

1. სამტრედია — 224, 2. ზუგდიდი — 214, 3. მახარაძე — 197, 4. ცხაკაია — 186, 5. წყალტუბო—179, 6. წულუკიძე — 167, 7. ონი — 162, 8. ზესტაფონი — 154, 9. აბაშა — 138, 10. ამბროლაური — 122, 11. ორჯონიკიძე — 119, 12. ჩოხატაური — 118, 13. ცაგერი — 114, 14-15. ლანჩხუთი, ჩხოროწყუ — 79 (თვითეულს), 16. ლენტეხი — 74, 17. წალენჯიხა — 71, 18. ხობი — 48, 19. თერჯოლა — 43, 20. მაიაკოვსკი — 34, 21. საჩხერე — 29.

ტურნირის ავ-კარგი

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე სამ კვირას გასტანა IV საქალაქო საიუბილეო სპარტაკიადამ. ჭადრაკში, კალათბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობის შედეგებს ადრე ვიუწყებოდით. დანარჩენ სახეობებში ჩემპიონობა მოიპოვეს: ფრენბურთში — „კრასნაია ზვეზდას" ვაჟთა და პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის ქალთა კოლექტივებმა, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში — სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა, მაგიდის ჩოგბურთში— პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა.

მოკრივეთა ტურნირი ჭაბუკებისა და მოზრდილებისთვის ცალ-ცალკე ჩატარდა. არ გამართულა ჭაბუკთა პირველობა ქვესაშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონებში და მოზარდთა შეჯიბრება — უმჩატეს, მჩატე, მსუბუქ, II საშუალო და მძიმე წონებში.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ ცხინვალელი ათლეტების ტექნიკური მომზადების დონე ზოგიერთ სახეობაში მეტად დაბალია. ეს განსაკუთრებით ითქმის მძლეოსნობაზე. მაგალითად, 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში გამარჯვებულმა ა. პროშაკოვმა 12 წამი აჩვენა, ვ. დვოროვოიმ კი სიმაღლეზე ხტომაში ჩემპიონობა 175 სანტიმეტრის გადალახვით მოიპოვა. არც სიგრძეზე ხტომაში იყო საქმე უკეთ. ვ. ჯაბიევი, რომელიც ყველას ჯობდა ამ სახეობაში, 6 მეტრზე ძლივს გადახტა...

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ნაკრებს ხვდა.

ვ. მელქოვი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ჯანმრთელობის სპარტაკიადა ოსტატებისთვის?

ამას წინათ თბილისში გაიმართა ჯანმრთელობის III საქალაქო სპარტაკიადა. ასპარეზობა ჯერ ფიზკულტურულ კოლექტივებში დაიწყო, შემდეგ რაიონულ შეჯიბრებებად იქცა და ბოლოს ესტაფეტა საქალაქო ტურნირმა მიიღო. ადრინდელი სპარტაკიადებისგან განსხვავებით, იგი საკმაოდ მასობრივი იყო. მარტო ავტომატიზაციისა და მართვის სისტემის ხელსაწყოთმშენებლობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპარტაკიადაში, რომელიც ამ ინსტიტუტის შექმნის 10 წლისთავს მიეძღვნა, 800-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ტურნირი აქ კინოფირზე აღბეჭდეს და მერე, შემაჯამებელ საღამოზე დამსწრეთ აჩვენეს. ელექტროტექნიკისა და მანქანათმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კი საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის მოაწყეს ჩოგბურთისა და ხელბურთის 3 მოედანი. ახალი მოედნები აიგეს კალინინის რაიონშიც.

დებულებით, წლევანდელ საქალაქო სპარტაკიადაში უნდა ჩაებათ საშუალო და უფროსი ასაკის ხალხი და 12-13 წლის ბავშვებიც. მაგრამ ზოგიერთმა კოლექტივმა სულაც არ მიიღო მონაწილეობა ასპარეზობაში. დავასახელებთ, მაგალითად, თვალსაჩინო ხელსაწყოთა ფაბრიკის, „საქრეკლამაჭრობის", „თბილწყალხელსაწყოს" ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივებს. თბილუნივერმაღის ფრენბურთელმა ქალებმა ოქტომბრის რაიონში ყველას აჯობეს, მაგრამ საქალაქო პირველობაში აღარ გამოვიდნენ.

ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის სპარტაკიადაში წლეულს შარშანდელზე ორჯერ მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ტურნირში პირველად გამოვიდნენ თბილგაზის, მე-2 ავტოსარემონტო და ღვინის მე-4 ქარხნების, გეოლოგიური და საარქივო სამმართველოების თანამშრომლები. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა ცურვისა და ქართული ჭიდაობის განვითარებას.

იყო კურიოზებიც. ლენინის რაიონის სპარტაკიადაში, მაგალითად, სპორტკლუბმა „ელმავალმა", რომელიც რკინიგზელთა 15 კოლექტივს აერთიანებს, გუნდი მარტო მაგიდის ჩოგბურთში გამოიყვანა.

შედარებით მცირერიცხოვანი იყო კიროვის რაიონის ჯანმრთელობის სპარტაკიადა, ვინაიდან პროგრამის ყველა სახეობაში მხოლოდ მე-40 და 43-ე სახლმმართველობების ფიზკულტურელები ასპარეზობდნენ. ელექტრომშენებელი ქარხნის დირექციამ საქალაქო სპარტაკიადის ფინალში არ გაუშვა მოჭიდავეთა გუნდი, რომელმაც რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა.

შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა სიტყვა რაიონული სპარტაკიადების ავ-კარგზე, მაგრამ საქალაქო სპარტაკიადის ნაკლოვანებები უფრო მნიშვნელოვანია და ამიტომ მხოლოდ მათზე შევჩერდებით.

ქულებით გატაცებულმა ორგანიზაციებმა გუნდები იმ სპორტსმენებით დააკომპლექტეს, ისედაც უამრავ საქალაქო თუ რესპუბლიკურ ტურნირში რომ მონაწილეობენ: ერთი სიტყვით, საასპარეზოდ გამოიყვანეს მაღალთანრიგოსნები, რომელთაც ჯანმრთელობაც კარგი აქვთ და სპორტიც ძალიან უყვართ.

მაგალითად, მოჭადრაკეთა ტურნირში 7 სპორტის ოსტატი, 8 ოსტატობის კანდიდატი, 33 პირველთანრიგოსანი და... 1 მეორეთანრიგოსანი მონაწილეობდა. ასე იყო ცურვაშიც, მძლეოსნობაშიც, ქართულ ჭიდაობაშიც. მაგალითად, 100 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ზურგზე ცურვაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ბ. ნიკიტინამ (1.02,6 და 1.14,6), ქალებში კი ყველას აჯობა საქართველოს ნაკრების წევრმა ნ. ეიგალოვამ (1.18,9 და 1.27,7). 200 მეტრზე ბრასით ვაჟთა ცურვაში პირველი იყო სპორტის ოსტატი ა. იოაკიმიდი (ყველა — 1-ლი მაისის რაიონი) — 2.48,3.

რაიონული სპორტკავშირების თავმჯდომარეები სპარტაკიადის დღეებში იმასღა ცდილობდნენ, გამოჩენილი სპორტსმენების მეშვეობით როგორმე გასულიყვნენ ფონს და არც მსაჯების საქმეში ჩარევას ერიდებოდნენ.

„დინამოს" სტადიონზე მძლეოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მსვლელობისას ეს „ენთუზიასტები" არავის ეპუებოდნენ, დადიოდნენ სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე (იხ. სურათი), უკან დასდევდნენ სპორტის ოსტატებს ლ. ტულუშს, რ. ქვაჩაკიძეს, ლ. იევლევას, ი. დიაჩკოვსა და სხვებს, ცდილობდნენ თავიანთ რაიონებში მომუშავე სპორტსმენები „გაემხნევებინათ" და „წაეხალისებინათ". საქმე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგები ჯანმრთელობის სპარტაკიადის პარალელურ ჩათვლაში შედიოდა (?!).

საგაისოდ ჯანმრთელობის სპარტაკიადის დებულება სხვაგვარად უნდა შედგეს. სარბიელი უნდა დავუთმოთ არა მოქმედ პირველთანრიგოსნებს, ოსტატობის კანდიდატებსა და ოსტატებს, არამედ მხოლოდ ახალგაზრდებს და საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებს. იმათ, ვინც ჩამოშორებულია აქტიურ სპორტს. აი, მაშინ გაამართლებს ღონისძიება თავის დანიშნულებას.

საქალაქო სპარტაკიადაში არც სხვა მხრივ იყო ყველაფერი რიგზე. სასაყვედუროდ თუნდაც ის კმარა, რომ უმეტეს შემთხვევაში არ ჰყოფნიდათ მსაჯები, რის გამოც მათ მოვალეობას ხშირად ისევ სპორტკავშირის თავმჯდომარეები ასრულებდნენ. მუდამ არც მსაჯობა იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მაგალითად, კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონების ფრენბურთელ მოსწავლეთა შეჯიბრების მდივანმა, სპორტის ოსტატმა ი. მიხანაშვილმა გადამწყვეტ პარტიაში კიროველთა სასარგებლოდ ისე აურია ანგარიში, რომ მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა შეხვედრა თავიდან ჩაეტარებინა. ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა მატჩი მაინც მოიგეს, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა: მეორე დღისთვის მათ ძალა აღარ ეყოთ და ფინალში დამარცხდნენ ლენინის რაიონის კოლექტივთან.

ვფიქრობთ, თბილისის სპორტკავშირი ჯანმრთელობის წლევანდელი სპარტაკიადის შედეგებიდან სათანადო დასკვნებს გააკეთებს და ეცდება გაისად უფრო ორგანიზებულად ჩაატაროს ეს სასარგებლო ღონისძიება.

ვ. ბუკინი.

რაიონებში სიახლენი

✦ გულრიფში

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ტყვიის სროლაში მოიგო გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა.

შ. ჯალაღონია.

✦ აბაშა

სოფელ განათლებისკარის რვაწლიან სკოლაში, სადაც ფიზაღზრდის მასწავლებლად პ. ალანია მუშაობს, მოეწყო ახალი სპორტული მოედნები.

ი. თოფურია.

✦ თერჯოლა

აქ გაიმართა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 49-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პირველობა ფრენბურთში. ერთმანეთს ეჯიბრებოდა რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლე ჭაბუკთა 14 გუნდი. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თერჯოლისა და ნახშირღელის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. გაიმარჯვეს თერჯოლელებმა.

ლ. ჯიშიაშვილი.

✦ რუსთავი

18 გუნდი ჩაება ქალაქის საფეხბურთო თასის გათამაშებაში. ფინალში გავიდნენ საბინაო-კომუნალური განყოფილების გუნდი და „დინამო" I. საინტერესო ბრძოლაში საბინაო-კომუნალური განყოფილების სპორტსმენებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მეტოქე და მოიპოვეს თასი.

რ. ბაბრიშიძე.

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.



მეგობრობას საძირკველი ჩაეყარა

ამ ცოტა ხნის წინ ხარკოვის კალათბურთის ფედერაციამ თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლეების წერილი მიიღო: თქვენი ქალაქის რომელიმე სკოლის სპორტსმენებთან მეგობრობა გვსურსო.

და აი, ოქტომბრის რევოლუციის 49-ე წლისთავის ზეიმის წინა დღეებში თბილისელ მოსწავლეებს სასიხარულო პასუხი მოუვიდათ ხარკოვის 24-ე საშუალო სკოლიდან, 6 ნოემბერს კი მათ ხარკოველი კალათბურთელი ჭაბუკები ეწვივნენ. სტუმრებს ჯერ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, შემდეგ კი ასპარეზობაც გაჩაღდა.

პირველი შეჯიბრება თბილისელებმა მოიგეს (46 : 41), ორი დღის შემდეგ კი სტუმრებმა აიღეს რევანში — 45 : 35.

— ამ მეგობრობას ამიერიდან ტრადიციად ვაქცევთ. დიდი მადლობელი ვართ ჩვენი მასპინძლებისა, მომავალ არდადეგებზე კი ხარკოვში ველით მათ, — თქვეს ხარკოველთა დელეგაციის ხელმძღვანელებმა ვ. კვაშინმა და ს. კარავაიმ.

მეგობრებს განზრახული აქვთ ასეთი შეხვედრები სპორტის სხვა სახეობებშიც მოაწყონ.

თ. ბაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: გუნდის კაპიტნები — ხარკოველი ვალერი ვაულენკო (მარცხნივ) და თბილისელი გია ფავლენიშვილი სამახსოვრო თასებს გადასცემენ ერთმანეთს.

ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონი, რომლის ნახვაც სასიამოვნოა

ახალი ამბების სააგენტოს სპორტული მიმომხილველის ა. მარიამოვის წერილი კიევის „დინამოზე“ რედაქციამ მიიღო სსრ კავშირის თასის ფინალურ მატჩამდე.

ახლა, როცა კიეველმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად მოიგეს მეორე პრიზიც, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ ეს გუნდი წლეულს ნაღდად უძლიერესია სსრ კავშირში და იმედია, იგი მომავალშიც დიდ წარმატებებს მიაღწევს.

საბჭოთა ფეხბურთმა ახალი ჩემპიონი მიიღო — კიევის „დინამო“.

ეს სტრიქონები იწერება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის პირველობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, როცა 18 გუნდი ჯერ კიდევ მოძრაობს სატურნირო კიბის ციცაბო საფეხურებზე. წერილი ეხება მეცხრამეტე გუნდს, რომელმაც გაბედა უმაღლესი საფეხური დაეკავებინა ჯერ კიდევ გაზაფხულზე და 7 თვის განმავლობაში არავისთვის დაუთმობია შანსი დაესაჯათ იგი ამ სითამამისათვის.

სპორტი ტრადიციულია პროგნოზების უარყოფაში. კიეველებმა უარყვეს ტრადიცია.

ახლანდელი ჩემპიონატი განსაკუთრებულია, ვინაიდან დაემთხვა დიდი ფეხბურთის წელიწადს ინგლისის მინდვრებზე და უძლიერეს კლუბებს მან თავისი არითმეტიკა უკარნახა. ამიტომ კიევის დინამოელებს და მათს გამოცდილ პედაგოგს ვ. მასლოვს თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში მოუხდათ რთული ამოცანების გადაწყვეტა „შეკრებითა და გამოკლებით“. მინუს 5, მინუს 4, მინუს 5, — ასეთი იყო კიეველთა ფორმულები სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონატში: სეზონისთვის ისინი ემზადებოდნენ ისე, რომ ეროვნულ ნაკრებში გაუშვეს თავიანთ საუკეთესო მოთამაშეთა ხუთეული, კალენდარული თამაშები მათ დაიწყეს 4 უძლიერესის დანაკლისით და შემდეგ კვლავ დააკლდათ ხუთნი — ვ. ბანიკოვი, ლ. ოსტროვსკი, ი. საბო, ვ. პარკუიანი და ვ. სერებრიანიკოვი, რომლებიც ინგლისში გაემგზავრნენ.

ელემენტარული არითმეტიკის სიმარტივე მაცდურია. ფეხბურთელთა სახელებით გაცოცხლებულმა ციფრებმა, იმ სახელებით, რომლებიც რამდენიმე წლის მანძილზე შეადგენდნენ კლუბის ძირითად ბირთვს, აიძულეს ვ. მასლოვი დიდი ხნის განმავლობაში ეძებნა ანსამბლი. და იმ გარემოებამ, რომ მწვრთნელი ამ ძნელ საქმეს შეუდგა ადრევე, ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისამდე, მნიშვნელოვანწილად განაპირობა წარმატება.

მახსოვს მარტში, როცა გაგრაში საწვრთნელი შეკრება მიმდინარეობდა, მასლოვი ეშმაკობდა ჩემთან საუბარში. საკონტროლო მატჩებში მოპოვებული წარმატებებით იგი მაინცდამაინც გახარებული არ იყო: გუნდის ახალწვეულნი ნამდვილ ბრძოლაში საჭიროებდნენ გამოცდას.

— როგორ არიან ახალბედები? რა განწყობილება აქვთ? როგორია გეგმები? — ჩემპიონატის დასაწყისისთვის ასეთი ტიპიური შეკითხვები იკარგებოდა მისი მკაცრი სახის ნაოჭებში და წარმოქმნიდა შაბლონური პასუხების ჯაჭვს: „თითქოს არა უშავს. არაუშავსრა. წიწილებს შემოდგომით ითვლიან. დრო გვაჩვენებს“ და ა. შ.

დღეს ჩვენ შეგვიძლია თვითონ დავაკონკრეტოთ ეს პასუხები.

გულზე უნდა დავიდოთ ხელი და ვაღიაროთ, რომ ყველა საფეხბურთო გილდიის მიმდევართათვის სასიამოვნო იყო ახალი ჩემპიონის ცქერა.

შარშანდელი წელიწადის დასასრულს, როცა ცნობილი გახდა ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება ნაკრების კანდიდატთა განთავისუფლების თაობაზე კლუბებიდან, მომავალი ჩემპიონატის აკვანი სკეფსისმა მოიცვა: უძლიერეს მოთამაშეთა გარეშე იგი წინასწარვე უფერული და უინტერესო ჩანდა. პირველი სწორედ კიევის „დინამო“ იყო დამნაშავე იმაში, რომ ეს ეჭვები დავივიწყეთ უკვე რამდენიმე ტურის შემდეგ.

კიეველთა რიგებში ჩვენ ვიხილეთ ახალგაზრდობა, რომლის მოქმედებაში ოდნავადაც არ ჩანდა გაუბედაობა ან უმწიფობა. შეიძლება სწორედ ამიტომაა ასე სასიამოვნო მის შესახებ წერა. ავიღოთ, მაგალითად, მეკარე ე. რუდაკოვი, რომელიც თითქმის 3 წელი თამაშობდა დუბლიორებში და თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თავისი შთამბეჭდავი სიმაღლის გარდა. გაშვებული ბურთების სარეკორდოდ მცირე რაოდენობა — აი, მისი ახლანდელი სავიზიტო ბარათი. ავიღოთ ნახევარმცველი ვ. მუნტიანი, რომელიც ფეხბურთის სპეციალისტებს ანცვიფრებდა თავისი საფეხბურთო შორსმჭვრეტელობით და უმწეო, ბიჭური სხეულით. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ იგი ვერ გაუძლებდა ძირითად შემადგენლობათა დამქანცველ სატურნირო ბრძოლას. მან კი გაუძლო! თუმცა გარეგნულად მაინცდამაინც არ შეცვლილა. უფრო მახვილგონიერი და სახიფათო კი გახდა და ღირსეულად დაუმშვენა გვერდი თავის პარტნიორს ი. საბოს. ავიღოთ ვ. პარკუიანი, რომელიც სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ, იგი კი იქიდან ნაკრების ყველაზე შედეგიან მოთამაშედ დაბრუნდა. ავიღოთ, დაბოლოს, ა. ბიშევეცი, რომელიც სათავეში უდგას საბჭოთა ფეხბურთის ყველაზე სახიფათო თავდამსხმელებს და სეზონს ამთავრებს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრად.

ვ. მასლოვმა 3 სეზონის წინ მიიღო კიევის „დინამო“ და ყველაფერი სამომავლოდ დაგეგმა. გააჩნდა რა ხელთ ჩინებული საფეხბურთო მექანიზმი, იგი მისი ნაწილებისა და ზოგჯერ მთელი რგოლების გულდასმით გადასინჯვას შეუდგა. ბევრს ეჩოთირა ეს, ვინაიდან რაც წლები გადის, ადამიანი არა მარტო გამოცდილებით მდიდრდება, არამედ ათასგვარ უცნაურობასაც იძენს. მასლოვი ყურს არავის უგდებდა, განსაკუთრებით მათ, ვინც მრავალმნიშვნელოვან გაფრთხილებას იძლეოდა. კლუბიდან წავიდა მისი კაპიტანი ვ. კანევსკი. ახალი მწვრთნელი ვერ დააკმაყოფილა კოლორიტულმა ტექნიკოსმა ვ. ლობანოვსკიმ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ოდესაში გადავიდა „დინამოს“ ძირითადი მარჯვენა გარემარბი ო. ბაზილევიჩი. მასლოვი ერთგული დარჩა თავისი მთავარი „უცნაურობის“: რკინისებური დისციპლინისა გუნდში და ამიტომ გადაჭრით წავიდა ასეთ მსხვერპლზე.

როცა მწვრთნელმა კიეველთა საფეხბურთო მანქანა კვლავ ააწყო, მისი დამახასიათებელი თვისებები უკვე სხვა იყო და პირველი, რაც მოგხვდებოდათ თვალში, იყო ის, რომ გუნდის ყველა რგოლი, ყველა მოთამაშე უფრო მოძრავი და მობილური გახდა. თუ გავიხსენებთ 1960 წლის მოსკოვის „ტორპედოს“, აღვადგენთ მისი თამაშის მანერას, პარალელებსაც სულ უბრალოდ შეატყობთ, ვინაიდან მასლოვმა „ტორპედოდან“ კიევში გადაიტანა თავისი მეორე უცნაურობა: საფეხბურთო „პერპეტუუმ მობილე“.

ამრიგად, გააკეთა რა თავისი პირველი ორი ნაბიჯი, ვ. მასლოვი ფრთხილად, მაგრამ სავსებით დამაჯერებლად გაუდგა ხანგრძლივ და ძნელ გზას ოქროს მედლებისკენ. იმედების გასახორციელებლად საჭირო გახდა თითქმის 3 წელი და ახლა, როცა უყურებ ახალ ჩემპიონებს, ვერ იტყვი, რომ ამ წლებმა უნაყოფოდ განვლო. კიევის „დინამოს“ დღეს სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ სამამულო ფეხბურთის ეტალონი. და არა იმიტომ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება აძლევს მას ასეთ პრივილეგიას, რომ ეს გამარჯვება ლამაზი და შთამბეჭდავი იყო. კიეველებმა მეტოქეებს გაუსწრეს აბსოლუტურად ყველა მაჩვენებლით, სატურნირო ცხრილის ყველა სვეტის მონაცემებით. მაგრამ ეს არაა მთავარი. გულშემატკივრებს ხიბლავთ კიევური ფეხბურთის სიახლეები, გუნდის სათამაშო ოპტიმიზმი. რომ შეენარჩუნებინა ეს თვისებები, მასლოვმა კვლავ გაიღო მსხვერპლი: როცა შუაგულ სეზონში ინგლისიდან დაბრუნდნენ სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეები, მან სათადარიგოთა სკამზე დასვა პარკუიანი და სერებრიანიკოვი, რომლებიც დაღლილი და სატურნირო ბრძოლის კალაპოტიდან ამოვარდნილი ჩანდნენ.

გაისად კიეველებს თამაში მოუწევთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ამიტომ გუნდის შეფასებას სულ სხვა საზომით ვაწარმოებთ, ვიდრე შარშან, — ახლა მეტი პრეტენზიით ვუყურებთ მას. ვ. მასლოვის გუნდი სავსებით შეეფარდება არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე მაღალ სტანდარტებს. იგი თანამედროვეა არა მარტო ტაქტიკურად, არამედ ტექნიკურადაც. იგი ძლიერია ყველა ხაზში და საკმარისად შეთამაშებულია. ამიტომ ძნელია გარკვეული საზღვრები გაავლო ამ ხაზებს შორის.

კიევის „დინამოს“ თამაშის ტაქტიკა უმეტეს მატჩებში არითმეტიკულად შეიძლება გამოისახოს ფორმულით 4+3+3. მაგრამ მასლოვმა, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ სეზონის თავში ნათლად დაამტკიცა, რომ ელემენტარული არითმეტიკა არც ისე მარტივია. სანამ ფორმულას იპოვნიდა, იგი გულდასმით ეძებდა მის შემადგენელ ნაწილებს და მხოლოდ შემდგომში, როცა შეისწავლა ყოველი ფეხბურთელი ცალკეულად და გუნდი მთლიანად, მან დაარიგა რგოლები და განალაგა მოთამაშეები მინდორზე.

უნაყოფოა სთხოვო მასლოვს კლუბის ძირითადი შემადგენლობიდან გამოყოს ვინმე. მისთვის იგი მთლიანია და წარმოადგენს საფეხბურთო ანსამბლს 11 სოლისტისგან. შეიძლება სწორედ ამიტომაც, ვიცნობ რა ვ. მასლოვს, არ მინდა ვილაპარაკო მის მოთამაშეებზე ცალცალკე. ისინი ყველანი ქების ღირსი არიან, ყველანი: მეკარეები ე. რუდაკოვი და ვ. ბანიკოვი, მცველები ვ. შჩეგოლკოვი, ვ. სოსნიხინი, ვ. ტურიანჩიკი, ს. კრულიკოვსკი, ვ. ლევჩენკო, ლ. ოსტროვსკი, ნახევარმცველები ვ. მუნტიანი, ი. საბო, ფ. მედვიდი, ა. ბიბა, თავდამსხმელები ვ. პარკუიანი, ა. ბიშევეცი, ვ. ხმელნიცკი, ვ. სერებრიანიკოვი და ა. პუზაჩი. ყველანი უკლებლივ.

ა. მარიამოვი.

• • •

სურათზე: კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. მარცხნიდან მარჯვნივ სხედან — ვ. ლევჩენკო, ვ. მუნტიანი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. სოსნიხინი, ვ. ხმელნიცკი, ფ. მედვიდი, ა. პუზაჩი; დგანან — ე. რუდაკოვი, ვ. შჩეგოლკოვი, ა. ბიშევეცი, ვ. პარკუიანი, ვ. ბანიკოვი, ვ. ტურიანჩიკი, ლ. ოსტროვსკი, ა. ბიბა, ს. კრულიკოვსკი და მწვრთნელი ვ. ტერენტიევი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საქდესი).

ფეხბურთი

სამხრეთის ქალაქებში!

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი უამინდობის გამო სამხრეთის ქალაქებში გადაიტანოს.

აი, ეს ცვლილებანი კალენდარში: მოსკოვის „დინამო“ და ოდესის ასკ 13 ნოემბერს ითამაშებენ ფერგანაში.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და ოდესის არმიელთა გუნდის შეხვედრა დანიშნულია ფრუნზეში 18 ნოემბერს. ცსკა და მინსკის „დინამო“ 20 ნოემბერს ითამაშებენ გროზნოში.

• • •

დონეცკის „შახტიორისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრა 14 ნოემბრის ნაცვლად შედგება 13-ში.

მატჩები, გოლები, ქულები

10 ნოემბერს შედგა 2 მატჩი.

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის არმიელებმა, რომლებიც თავიანთ მინდორზე შეხვდნენ ალმაათის „კაირატს“ — 2:0. ბურთები გაიტანეს ბ. კაზაკოვმა და პოლიკარპოვმა.

ტაშკენტში ადგილობრივი „პახტაკორისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ა“ კლასი I ჯგუფი

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

I-X ადგილები

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

სტუმართა დაცვითი ხაზების მოთამაშეებმა თავიდანვე თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელებს, რაც მათ დაუყოვნებლივ გამოიყენეს. მე-18 წუთზე „შუქურას“ მცველის ახალაძის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად წულუკიძელებმა გახსნეს ანგარიში, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ყუფარაძემ მეორე გოლიც გაიტანა.

შესვენების შემდეგ ქობულეთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და კბილაშვილისა და ურუშაძის ზუსტი დარტყმების შედეგად თანაფარდობა აღდგენილ იქნა — 2:2. მეტოქეებს თითქოს თანაბრად უნდა გაეყოთ ქულები, მაგრამ „შუქურას“ დაცვა კვლავ უხეშად შეცდა და ყუფარაძემ დააწინაურა თავისი გუნდი — 3:2. ეს პირველი არაა, როცა „შუქურა“ დაცვის უხეირო თამაშის გამო მარცხდება. საკმარისია ითქვას თუნდაც ის, რომ გუნდმა მეტოქეთა კარში გაიტანა 34 ბურთი, ხოლო საკუთარში მიიღო 25.

● „სინათლე“ (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

მატჩი თავიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა. ანგარიში ტაიმის მიწურულში გახსნეს სტუმრებმა. მეორე ნახევარში თბილისელები ბევრს უტევდნენ და საბოლოოდ შეძლეს საპასუხო ბურთის გატანაც.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ო. ჩიქობავა (ცხაკაია).

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1. მსაჯი ლ ჯოხაძე (ხაშური).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

XI — XXIV ადგილები

● „დინამო“ I (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ანგარიში გახსნა დინამოელთა მცველმა გოგიამ, რომელმაც ბურთი ჩაჭრა საკუთარ კარში. მართალია, შესვენების შემდეგ ჩარკვიანმა გაქვითა ანგარიში, მაგრამ თამაშის დასასრულს არმიელებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

● „ირისთონი“ (ცხინვალი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:2. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

რკინიგზელებმა მარცხით დაიწყეს თამაში: მათს კარში დანიშნული 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ძაგოევმა. შემდგომში „ლოკომოტივი“ საფუძვლიანად დაეუფლა ინიციატივას და გამარჯვებასაც მიაღწია.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „დინამო“ (ქუთაისი) 4:3. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი საკმაოდ „უხვმოსავლიანი“ იყო, იგი უინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2:1 და ეს მინიმალური სხვაობა ბოლომდე შეინარჩუნეს — 4:3.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ისანი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი გ. აბესაძე (თბილისი).

● ბათუმის „ნარინჯი“ არ გამოცხადდა სათამაშოდ ტყვარჩელში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ნოემბრისთვის

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I-X ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შუქურა“ (ქობულეთი)	14	8	4	2	34—25	20
„გურია“ (ლანჩხუთი)	13	7	5	1	22—12	19
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	13	5	6	2	16—11	16
„მერცხალი“ (მახარაძე)	14	6	3	5	15—14	15
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	14	4	4	6	14—16	12
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	13	3	6	4	14—17	12
„მესხეთი“ (ახალციხე)	14	2	7	5	21—26	11
„სინათლე“ (თბილისი)	12	3	4	5	20—12	10
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	13	4	2	7	19—28	10
„განთიადი“ (ბორჯომი)	14	1	7	6	13—20	9

ყოველი მხრიდან

ონდინო ვიერა გულს არ იტეხს

ინგლისის ჩემპიონატში ურუგვაის ნაკრების მარცხის შემდეგ ბევრი სპეციალისტი თვლიდა, რომ გუნდის მწვრთნელის ონდინო ვიერას ბედი უკვე გადაწყდა. ურუგვაის გაზეთები აშკარად მოითხოვდნენ, მწვრთნელი გადადგესო, მაგრამ პირიქით მოხდა. იქაური ფეხბურთის ფედერაცია ერთ ხანს დუმდა, ამ დღეებში კი ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ეროვნული ნაკრების მომზადება კვლავ ო. ვიერას დაევალა.

თავად მწვრთნელმა განაცხადა, რომ ეს ამბავი „სულაც არ გაჰკვირვებია“. „მე მიმაჩნია, — თქვა ვიერამ, — რომ არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, როგორც ნაკრების მთავარ მწვრთნელს. არ მომსვლია არც ერთი ისეთი შეცდომა, რომლისთვისაც ჩემი გადაყენება შეიძლებოდეს. ლონდონში მარცხის მიუხედავად, ვფიქრობ, ფარ-ხმალის დაყრა ადრეა. თუმცა, რა თქმა უნდა, ინგლისის ჩემპიონატიდან შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ. მაგალითად:

1. არაა საჭირო თამაშის ტაქტიკის შეცვლა და ფეხბურთელების ტექნიკაზე წუწუნი. ეს როდია ჩვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

2. უპირველესი შეცდომა ის გახლდათ, რომ რატომღაც უარი ვთქვით თამაშის ჩვენებურ ყაიდაზე და ულაპარაკოდ მივიღეთ მეტოქის კონცეფცია (მაგალითად, ინგლისელებთან მატჩში). ამან გააცამტვერა ჩვენი უპირატესობა და ძალაც მოგვაკლო.

3. მარცხის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მიმაჩნია არასათანადო დისციპლინა როგორც მატჩამდე, ისე მინდორზე.

დასასრულ შევნიშნავ, რომ მექსიკის ჩემპიონატამდე დიდი დროა და თუკი ყველა ამ შეცდომას მოვუვლით, გამარჯვების პატარა შანსი როდი გვექნება“.

გეეზინკის ახალი ამპლუა

დაახლოებით ორი წლის წინ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუ-დოში, ჰოლანდიელი ანტონ გეეზინკი ტოვებს სამოყვარულო სპორტს. მან ხელშეკრულება დადო იტალიის კინოფირმებთან და გადაღება დაიწყო ბიბლიურ სიუჟეტზე შექმნილ ფილმში. ამ საქმით ჩემპიონმა მართლაც მოიგო ორიოდე გროში, მაგრამ გადაღებების დროს გამოირკვა, რომ მსახიობი მისგან არ დადგებოდა. პროდიუსერებს გეეზინკი კი არა, მისი სპორტული სახელი სჭირდებოდათ. ვარაუდობდნენ, რომ ფილმში მისი მონაწილეობა დიდძალ მაყურებელს მიიზიდავდა.

გეეზინკს ერთი სული ჰქონდა დაბრუნებოდა სპორტულ სარბიელს, მაგრამ, მიუხედავად ძიუდოისტთა ჰოლანდიის კავშირის ხელმძღვანელობის შუამდგომლობისა, წადილი ვერ აისრულა. საერთაშორისო კავშირი არ ცნობს ისეთ მოყვარულებს, სპორტი შემოსავლის წყაროდ რომ უქცევიათ. და აი, ახლახან შევიტყვეთ, რომ გეეზინკმა ჰოლანდიის ძიუდოისტთა ერთ-ერთი არმიული კლუბის მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

„რა თქმა უნდა, ეს დიდი საპატიო თანამდებობა არ არის, — განაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, — მაგრამ მწარე გამოცდილებამ ჭკუა მასწავლა და მინდა თუ თავად არ მომეცა ჩემს საყვარელ სახეობაში ვარჯიშის საშუალება, მთლად მაინც არ ჩამოვცილდე მას. ახალგაზრდების წვრთნასაც ამიტომ მოვკიდე ხელი“.

მთავარია მოდა!

ბელგიის ჰოკეისტ ქალთა გუნდი „ირონდელ ბრისაკი“ კარგი თამაშით როდია განთქმული. გუნდის წევრები მხოლოდ იმით გამოირჩევიან თავიანთი მეტოქეებისგან, რომ ხშირად იცვლიან სპორტულ ტანსაცმელს. ამ დღეებში, მაგალითად, „ყინულის მზეთუნახავები“ ძვირფას მაქმანიან კოფთებსა და საგანგებოდ მოკაზმულ ქვაბებში გამოწყობილი გამოვიდნენ სარბიელზე. თუმცა ქვეყნის სპორტსმენებს არც ამ მორთულობამ უშველა. მათ საკმაოდ მოზრდილი ანგარიშით წააგეს მეტოქეებთან, რომლებიც ბევრად სადად იყვნენ ჩაცმული.

ამ წაგებამ დიდად როდი დაანაღვლიანა „ირონდელ ბრისაკის“ კაპიტანი მადმუაზელ მარტა ვანდრიჩე.

„ჰოკეი თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ, — განუცხადა მან ჟურნალისტებს. — მაყურებლებს მხოლოდ ის კი არ აინტერესებთ, ვინ მეტ ბურთს გაიტანს. სპორტსმენის დანახვა, პირველ ყოვლისა, თვალს უნდა ახარებდეს. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მოდას არ ჩამოვრჩებით. ამ თვალსაზრისით, ეჭვი არ არის, გამარჯვება ჩვენს გუნდს ხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს, განსაკუთრებით, მამაკაცებში. უნდა გითხრათ, რომ გუნდი არც აწი აპირებს უღალატოს თავის უპირველეს ტაქტიკას — მთავარია მოდა!“

ფეხბურთი

თასების მფლობელთა თასზე...

მოსკოვის „სპარტაკისა“ და ვენის „რაპიდის“ მატჩის გარდა, 9 ნოემბერს გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების სხვა მერვედფინალური თამაშებიც.

სარაგოსაში (ესპანეთი) გათამაშების მეორე წრის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რეალ სარაგოსა“ და ლივერპულის „ევერტონი“ (ინგლისი).

მინდორზე თავიდანვე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, რასაც მოჰყვა ორივე გუნდის მოთამაშეთა... უხეშობა. მე-13 წუთზე ესპანელთა მარჯვენა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სანტოსმა თავით გაიტანა გოლი „ევერტონის“ კარში — 1:0. ტაიმის მიწურულში ინგლისელთა მარცხენა გარემარბმა მორისმა გაარტყა ესპანელ ნახევარმცველ ვიოლეტას და არბიტრმა დამნაშავე დაუყოვნებლივ გააძევა მინდვრიდან.

შესვენების შემდეგ 10 ინგლისელი გაფთრებით იბრძოდა, მაგრამ ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო. სარაგოსელთა მარცხენა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მარსელინომ მეორედ აიღო „ევერტონის“ კარი — 2:0. მატჩი ასეთივე ანგარიშით დამთავრდა. 23 ნოემბერს გუნდები მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად, ლივერპულში.

დუბლინში [illegible] „შემროკ როვერზი“ ეთამაშა მიუნჰენის „ბაიერნს“ (გფრ). ირლანდიელებმა ღირსეულად ჩაატარეს შეხვედრა და ძლიერ მეტოქესთან ფრეს მიაღწიეს — 1:1.

აი, დანარჩენი მატჩების შედეგებიც: „ვაშაშ დიორი“ (უნგრეთი) — „სპორტინგ ბრაგა“ (პორტუგალია) 3:0, ჟენევის „სერვეტი“ (შვეიცარია) — როტერდამის „სპარტა“ (ჰოლანდია) 2:0.

(საქ. ინფ.).

* * *

ბაზრობათა თასზე...

ოთხშაბათს, ბაზრობათა თასის გათამაშების მეორე წრის საპასუხო მატჩში, ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ შინ მოუგო ჰოლანდიის „უტრეხტს“ — 5:2. პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა (1:1), ამიტომ გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“.

ტურინში (იტალია) ადგილობრივი „იუვენტუსი“ პირველ მატჩში შეხვდა სეტუბალის „ვიტორიას“ (პორტუგალია). გაიმარჯვეს იტალიელებმა — 3:1. დეკემბრის დასაწყისში ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

(საქ. ინფ.).

ჩოგბურთი

ამერიკელთა მარცხი

ამ დღეებში პორტუ-ალეგრიში (ბრაზილია) გაიმართა საზონათაშორისო ფინალური მატჩი დევისის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის ზონაში გამარჯვებული — აშშ-ის და ევროპის ზონის „ა“ ჯგუფში უძლიერესი — ბრაზილიის ჩოგბურთელთა (ისინი კონკურსგარეშე ევროპის ზონაში მოხვდნენ) გუნდები.

ამ შეხვედრაში გამარჯვებას ყველა აშშ-ის სპორტსმენებს უქადდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ მანამდე, არგენტინაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში აშშ-ის ნაკრებმა იოლად დაამარცხა ბრაზილიელები.

ამჯერად ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა ბრაზილიელმა ხ.-ე. მანდარინომ პირველი ქულა თავის გუნდს კ. რიჩესთან შეხვედრაში მოუტანა — 5:7, 6:3, 7:5, 6:3. შემდეგ ამერიკელმა დ. რალსტონმა აღადგინა წონასწორობა: მოუგო ტ. კოხს — 6:4, 6:4, 6:0. წყვილთა შეჯიბრებაც ამერიკელებმა — რალსტონმა და ა. ეშმა მოიგეს (კოხთან და მანდარინოსთან) — 7:5, 6:4, 4:6, 6:2. ბოლო ორ შეხვედრაში ბრაზილიელებმა იმარჯვეს: ჯერ კოხმა გაიმარჯვა (რიჩესთან) — 6:1, 7:5, 6:1, ხოლო შემდეგ მანდარინომ (რალსტონთან) — 4:6, 6:4, 6:4, 6:1.

ამ სენსაციური მატჩის საბოლოო შედეგია 3:2 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ არენაზე

ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა). **დღეს** — სათადარიგო შემადგენლობანი, **ხვალ** — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 16 ს.

აკრობატიკა. ტანვარჯიშული დარბაზი (სანაპიროს ქ. № 8). **12-13 ნოემბერი. საქალაქთაშორისო შეხვედრა თბილისი—რიგა—ბაქო—გროზნო—ლუგანსკი.** დასაწყისი: 12 ნოემბერს—19 ს., 13-ში — 12 ს.



13 და 14 ნოემბერს

ზამთრის დახურულ აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 51) გაიმართება წყალბურთელთა ამხანაგური შეხვედრები უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონის — „დოჟას“ მონაწილეობით. 13 ნოემბერს შედგება ორი მატჩი: 12 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს ნაკრები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნაკრები, 13 საათზე — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დოჟა“ (უნგრეთი). 14 ნოემბერს: 18 საათზე — „ლოკომოტივი“ — განათლების სამინისტროს გუნდი, 19 საათზე — საქართველო — „დოჟა“.

ვ. აქსიონოვი

„გამარჯვება“

მოთხრობა გაზვიადებებით

ჩქარი მატარებლის კუპეში დიდოსტატი ჭადრაკს ეთამაშებოდა შემთხვევით თანამგზავრს.

ამ კაცმა შემოსვლისთანავე იცნო დიდოსტატი და მყისვე დაეუფლა მისი დამარცხების თავხედური სურვილი. „დიდი ამბავი, — ფიქრობდა იგი და თანამგზავრს ეშმაკურ მზერას არ აცილებდა. — მაგისთანები მომხდარა? დიდი ვინმეც არი!“

დიდოსტატი მაშინვე მიხვდა, რომ იცნეს და წინასწარ იგრძნო, რომ ორი პარტიის თამაში მაინც არ აცდებოდა. თითქოს არც ეუცხოებოდა ეს კაცი. საჭადრაკო კლუბის ფანჯრებიდან დაუნახავს ზოგჯერ გოგოლის ბულვარზე სწორედ ასეთი ვარდისფერი, ბრტყელი შუბლები.

მატარებელი რომ დაიძრა, დიდოსტატის თანამგზავრი გაიზმორა და ვითომც აქ არაფერიაო, გულგრილად იკითხა:

— ჭადრაკს ითამაშებდა კაცი, არა? რას იტყვით?

— თუ ნებავთ, ვითამაშოთ, — წაიბუტბუტა დიდოსტატმა.

თანამგზავრმა კუპიდან თავი გამოყო და გამყოლ ქალს დაუძახა. ჭადრაკი რომ მოიტანეს, არც თუ გულგრილად სტაცა ხელი, ფიგურები გადმოყარა, ორი პაიკი აიღო, მუშტებში მოიქცია და დიდოსტატს გაუშვირა: მარცხენა ხელზე, ცერსა და საჩვენებელ თითებშუა, სვირინგი აჩნდა: გ. ო.

— მარცხენა, — თქვა დიდოსტატმა და ამ მარცხენა და მარჯვენა მუშტის ძალა რომ წარმოიდგინა, წარბი ოდნავ შეიჭმუხნა.

მას თეთრები ერგო.

— დრო ხომ უნდა მოვკლათ, არა? გზაში ჭადრაკი მისწრებაა, — დაყვავებით ამბობდა გ. ო., თან ფიგურებს დაფაზე აწყობდა.

მათ ხელად გაითამაშეს ჩრდილოეთის გამბიტი, მერე ყველაფერი აირია. დიდოსტატი ყურადღებით დაცქეროდა დაფას და დროდადრო უმნიშვნელო სვლებს აკეთებდა. რამდენჯერმე მის თვალწინ თითქოს ლაზიერმაც გაიელვა საშამათო გზაზე, მაგრამ დიდოსტატი დაემორჩილა მომაბეზრებლად და საწყლად მოზუზუნე შინაგან ხმას, კოღოს ბზუილს რომ ჰგავდა, და ქუთუთოების ოდნავი დახრით ჩაახშო უეცარი აღტყინება.

— „ხას-ბულატ, მამაცო, ღარიბია შენი ქოხი...“ — გაბმით მღეროდა გ. ო.

საგულდაგულოდ გამოწყობილი დიდოსტატი წესიერებისა და მკაცრი მანერების განსახიერება გახლდათ, რაც ესოდენ დამახასიათებელია იმ ადამიანებისთვის, მუდამ ეჭვი რომ ეპარებათ თავის თავში და ყველაფერი მეტად იოლად წყინთ ხოლმე. იგი ახალგაზრდა იყო, რუხი კოსტუმი, ღია ფერის პერანგი ეცვა და უბრალო ჰალსტუხი ეკეთა. დიდოსტატს გარდა არავინ იცოდა, რომ მის უბრალო ჰალსტუხს „დიორის სახლის“ საფირმო ნიშანი ამშვენებდა. ეს პატარა საიდუმლო მუდამ რაღაცნაირად უთბობდა გულს და ანუგეშებდა ახალგაზრდა, სიტყვაძუნწ დიდოსტატს. სათვალეც ხშირად შველოდა და მის მოკრძალებულ გამოხედვას იფარავდა. იგი ემდუროდა ტუჩებს, უცაბედად რომ ათრთოლდებოდნენ, ან საწყალ ღიმილში იწელებოდნენ ხოლმე. სიამოვნებით დაფარავდა ამ ტუჩებს უცხო თვალისაგან, მაგრამ ასეთი საქციელი, სამწუხაროდ, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

დიდოსტატი განაცვიფრა და შეაწუხა გ. ო.-ს თამაშმა. მარცხენა ფლანგზე ფიგურებმა ისეთნაირად მოიყარეს თავი, რომ რაღაც თაღლითური, კაბალისტიკური ნიშნების ხლართი შეიქმნა. ყოველივე ეს რომელიღაც ხალტურული სასულე ორკესტრის ყალბ ჟღერას წააგავდა, მოყვითალო-ნაცრისფერ, დატკეპნილ თოვლს, შეუვალ ღობეს, ცემენტის ქარხანას მოაგონებდა. მთელი მარცხენა ფლანგი საპირფარეშოსა და ქლორის, სამზარეულოს სველი ტილოების, ყაზარმის სუნად ამყრალდა, ადრეული ბავშვობიდან ნაცნობი ფაღარათისა და სასაქმებელის სუნი დატრიალდა.

— თქვენ ხომ ესა და ეს დიდოსტატი ბრძანდებით? — ჰკითხა გ. ო.-მ.

— დიახ, — დაუდასტურა დიდოსტატმა.

— ჰა-ჰა-ჰა, რა დამთხვევაა! —შესძახა გ. ო.-მ.

„რა დამთხვევა? რომელ დამთხვევაზე მელაპარაკება? წარმოუდგენელია! შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო? უარს ვაცხადებ, უარს ვამბობ,“ —პანიკურად გაუელვა დიდოსტატს, შემდეგ ყველაფერს მიხვდა და გაეღიმა.

— დიახ, დიახ, ცხადია, ცხადი.

— აი, თქვენ დიდოსტატი ბრძანდებით, მე კი თქვენი ლაზიერი და ეტლი ჩანგალზე წამოვაგე, — თქვა გ. ო.-მ და ხელი ასწია. მხედარი-პროვოკატორი დაფაზე დაეკიდა.

„ჩანგალი საჯდომში, — გაიფიქრა დიდოსტატმა. — ესეც შენი ჩანგალი! ბაბუას თავისი ჩანგალი ჰქონდა, კაცი ხელს ვერ ახლებდა, მისი საკუთრება იყო. საკუთარი ჩანგალი, კოვზი და დანა, საკუთარი თეფშები და ჭიქლა სისველისთვის. ლირებზე ნაყიდი ქურქი მაგონდება, მძიმე ქურქი „ლირების“ ბეწვზე, მუდამ შესასვლელთან ეკიდა, ბაბუა თითქმის არ გადიოდა შინიდან. ჩანგალი ბაბუას და ბებიას. მენანება მოხუცები“.

სანამ მხედარი დაფაზე კონწიალობდა, დიდოსტატის თვალწინ კვლავ გაიელვა შამათისწინა რეიდებისა და შეწირვების მნათმა ხაზებმა და წერტილებმა. ნურას უკაცრავად, — მოიისფრო, წვირიანი ბაიკის ნაჭრით სანახევროდ დაფარული ცხენის გავა ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ დიდოსტატმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— ეტლს მაძლევთ?

— რას იზამ.

— მწირავთ ეტლს, რომ შემომიტიოთ, არა? მიგიხვდით? — ჰკითხა ისევ გ. ო.-მ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ბედავდა სასურველ უჯრაზე მხედრის დასმას.

— უბრალოდ, ლაზიერს უნდა ვუშველო, — წაიბუტბუტა დიდოსტატმა.

— ჩემი გამოჭერა ხომ არ გნებავთ?

— არა, რას ბრძანებთ, თქვენ კარგად თამაშობთ.

გ. ო.-მ თავისი სანუკვარი „ჩანგალი“ გააკეთა. დიდოსტატმა ლაზიერი დამალა ბოძებშომპალი, ნახევრად-დანგრეული ტერასის უკან, წყნარ კუთხეში, სადაც შემოდგომით შმორიანი ფოთლების სუნი იდგა. აქ შეიძლება ჩაცუცქდე და მოხერხებულად შეაფარო თავი. აქ კარგია. ყოველ შემთხვევაში, შენს თავმოყვარეობას ვერავინ შელახავს. დიდოსტატი წამოდგა, ტერასიდან გამოიხედა და დაინახა, რომ გ. ო.-მ ეტლი აიყვანა.

შავი მხედრის შეჭრა მარცხენა ფლანგზე გამეფებულ ქაოსში და „b4“ უჯრის დაკავება უკვე აფიქრებდა დიდოსტატს.

დასასრული

იხ. შემდეგ ნომერში...

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.